ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4200002

ნომერი: AR1621462

თარიღი : 09.08.2018

გაცემის თარიღი : 03.10.2018

გაცნობის თარიღი : 09.10.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , ისნის ბაზრობის მიმდებარედ (ნაკვეთი 067/005);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესარიონი გოგუა პ/ნ 01017044688
- თბილისი პ.იაშვილის ქ. N 1/6

ნომენკლატურა :

- ავტოსადგური
- II კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 4088311
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 25.07.2018

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ავტოსადგური
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ბესარიონი გოგუა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: რენატი უსუპოვი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 20001009843

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1300.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 145.12
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 187.07
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 56.3
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 79.69
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 24.88
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 26.2
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1400.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1260.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 140.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 9.2
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 9.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.2
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 140 კვ.მ=0.1
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 280 კვ.მ=0.2
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 130 კვ.მ= 0.1

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს: სამსახურის მიერ №4176001 გადაწყვეტილებით დაგევალათ დოკუმენტაციის წარმოდგენა, ასევე ამავე გადაწყვეტილებით ინფორმირებული იყავით, რომ სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩებოდა განუხილველი. აქედან გამომდინარე, ვინაიდან თქვენ მიერ არ იქნა გათვალისწინებული სამსახურის მიერ №4176001 გადაწყვეტილებით დადგენილი ხარვეზები და მოთხოვნილი დოკუმენტაცია არ იქნა წარმოდგენილი, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2)-ში. (ტზ-2) — სატრანსპორტო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ ავტოსადგომებს, ავტოგასამართ სადგურებს ან ავტოგასამართ კომპლექსებს, აირგასამართ ან აირსავსებ საკომპრესორო სადგურებს, გზატკეცილების გასხვისების ზოლებს და სადგურებს (მათ შორის აეროსადგურები, საწყლოსნო სადგურები, ავტოსადგურები, რკინიგზის სადგურები); აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე სამსახურის მიერ 25/07/2018წ. № 4088311 ბრძანებით დაგიდგინდათ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები - ავტოსადგურის (სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები) მშენებლობისთვის. ვინაიდან თქვენს მიერ წარმოდგენილი საპროექტო შენობა არ შეესაბამება № 4088311 ბრძანებით დადგენილი ფუნქციის შენობას (საპროექტო შენობა წარმოადგენს სავაჭრო/საოფისე ფუნქციას, როგორც გეგმარებითი ასევე ვიზუალური კუთხით) საჭიროა დოკუმენტაცია გეგმარებით ნაწილში შეუსაბამოთ ავტოსადგურის ფუნქციას (გეგმებზე დაიტანეთ ავტოსადგურის ფუნქციისთვის შესაბამისი სათავსების ექსპლიკაცია) აღნიშნულის გათვალისწინებით დაკორექტირდეს საპროექტო დოკუმენტაცია.

შესაბამისად წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.